ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 59

აბაშა, 2023 წლის 17 ნოემბერი

აბაშის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი” 77-ე და 78-ე მუხლების შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. დაიწყოს აბაშის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა.
2. აბაშის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის ორგანიზება დაევალოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (დ. ცანავა).
3. საჯარო განხილვა მოეწყოს საკრებულოს სხდომათა დარბაზში ყოველ სამუშაო დღეს, 12:00-დან 16:00 საათამდე.
4. აბაშის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის საკრებულოს ვებ-გვერდზე, გაიკრას საინფორმაციო დაფაზე, ადმინისტრაციულ ერთეულებში - მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ შენობაში და მერიის შენობის საინფორმაციო დაფაზე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
6. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: ბ. ხოშტარია